



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუნია გიორგი ლევანის ძე

გუნია გიორგი ლევანის ძე (22. XI. 1908, თბილისი, - 23. VII. 1983, იქვე), კინორეჟისორი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). დაამთავრა საკავშირ. კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1934, ს. ეიზენშტეინის სახელოსნო). 20-იან წლებში მუშაობდა თბილისში, გ. პლესანოვის სახ. თეატრში, 1928-იდან - კინოში მსახიობად, დამდგმელ რეჟისორად. გადაღებულია ფილმებში: „უგუბზიარა“ (1930), „ნამდვილი კავკასიელი“ (1931), „მზალო და გელა“ (1933) და სხვ. მეორე რეჟისორად იმუშავა ქართ. მხატვრულ ფილმებზე: „ჭრიჭინა“ (1954), „ორი ოკეანის საიდუმლოება“ (1955), „მე ვიტყვი სიმართლეს“ (1957), „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე...“ (1958), „სად არის შენი ბედნიერება, მზია?“ (1959), „პალიასტომი“ (1963), „შენწყვეტილი სიმღერა“ (1960), „განგაში“ (1968) და სხვ. 1965 მისი რეჟისორობით გახმოვანდა და აღდგა ფილმი „ახალგაზრდობა იმარჯვებს“. 1947-54 თბილ. კინოსტუდიის ქრონიკის სექტორში, როგორც დამდგმელმა რეჟისორმა, გადაიღო ფილმები: „ბალნეოლოგიური კურორტი“ (1947), „კულტურის კერა“ (1948), „კურბუ, ლებარდე“ (1948), „სიჭაბუკისა და სილამაზის დღესასწაული“ (1950), „იალბუზზე ასვლა“ (1950), „ჭიათურა“ (1951), „სახალხო დღესასწაული რუსთავში“ (1952), „მეხილეობა“ (1953), „ქართლის ბაღებში“ (1953), აგრეთვე კინოჟურნალები.
